სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N27010401/233

ქ. თბილისი

„21"„ოქტომბერი"2019 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, ლევან გოგოძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის, მამუკა ლიპარტელიანის სახით, (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად"), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" ოზურგეთის რაიონულ განყოფილებაში დაზიანებული დაცვის სიგნალიზაციის ქსელის შეცვლა–აღდგენისათვის საჭიროა სპეციალური კაბელის (შემდგომში - „საქონელი" ან „შესყიდვის ობიექტი";CPVკოდი:44300000; 44321000) და თანმდევი სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების (შემდგომში - „სამუშაო" ან „სამუშაოები") გამარტივებული შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 60 (სამოცი) ლარს, რომელიც მოიცავს როგორც „საქონლის", ისე „სამუშაოების" ღირებულებასაც.

3.2. ხელშეკრულების ფარგლებში შესასყიდი საქონელი იხილეთ დანართ N 1 - ში:

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. „საქონლის" მიწოდება და „სამუშაოების" შესრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში (მიწოდების ვადის პირველ სამუშაო დღედ ითვლება ხელშეკრულების გაფორმების დღის მომდევნო დღე).

4.2. მიწოდების ადგილი: ქ. ოზურგეთი, გოგებაშვილის ქ. N2 - ში.

4.3. მოწოდებული „საქონლის" და „სამუშაოს" ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „საქონლის" და „სამუშაოს" მიწოდებისთანავე, წერილობითი სახით ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტი, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით, „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი, სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების" აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სრულად (ერთობლივად) წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „საქონლის" და „სამუშაოს" მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;

7.1.2. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.3. წუნის შემთხვევაში, „შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წუნდებული „საქონლის" ან/და „სამუშაოს" შეკეთება და/ან შეცვლა.

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.6. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. არ აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით მოწოდებული (წუნდებული) საქონლის (თანმდევი სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოებით) ღირებულება და მოსთხოვოს მას იმოქმედოს, წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.3. პუნქტის შესაბამისად და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების 12.1. პუნქტის შესაბამისად;
8.2.2. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის რაოდენობის კონტროლი;
8.2.3. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის და/ან თანმდევი სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
9.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
9.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
9.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
9.2.3. ეპიდემიები;
9.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
9.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება ან ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და/ან ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
9.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
9.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
9.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
9.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
9.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
9.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით.

10.ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხაერთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან

დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.3. პუნქტით განსაზღვრული ვადის მიმდინარეობისას), მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.
12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის გადახდა.
12.4. ამ მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და/ან საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

13. ხელშეკრულების კონტროლი
13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს, სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის სამართველოს უფროსი სპეციალისტი - ლევან ხაჟომია.
13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
13.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

14. ხელშეკრულების ენა
14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
15.2. ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.
15.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
15.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
15.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.
15.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

17. დასკვნითი დებულებები
17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
17.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
17.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
17.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ.

შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
17.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არა უგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.
17.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
17.10. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) ფურცლად, 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

18. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო",	სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი"
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ.N144,	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–11 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927	მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა
	მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში
	ბანკის კოდი - TRESGE22
	მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 707117041
	ს/კ N211350928
ლევან გოგოძე	მამუკა ლიპარტელიანი
სააგენტოს დირექტორის მოადგილე	დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი

LEPL "SOCIAL SERVICE AGENCY" 202178927

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

ზ. ფიფია

ბ. დათუკიშვილი

ზ. ჭანტურია

ა. ვასაძე

ლ. ხაჟომია

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY 2019.10.22 12:34:31 +04'00'

დანართი N1

კოდი	დასახელება	ზომის ერთეული	რ-ბა	ერთეულის ფასი	საქონლის ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	საქონლის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
14246	კაბელი 8 წვერიანი	მეტრი	100	0.4407	0.5200	52.0000
13453	მაგნიტოკონტაქტური	ცალი	2	3.3894	3.9994	8.0000
ჯამი						60.00

ლევან ბოგოძე
საგენტოს დირექტორის მოადგილე

მამუკა ლიპარტელიანი
დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი

21 ოქტომბერი, 2019 წ.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ოზურგეთის რაიონულ განყოფილებაში დაზიანებული დაცვის სიგნალიზაციის ქსელის შეცვლა–აღდგენისათვის საჭიროა სპეციალური კაბელის და თანმდევი სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესასყიდად, 2019 წლის 21 ოქტომბერს გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულ N27010401/233 ხელშეკრულებაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

სააგენტოს დირექტორის მოადგილე
ლევან გოგობერიძე _____

ლელა მამულაშვილი _____

ზაზა ფიფია _____

ავთანდილ ვასაძე _____

ზაზა ჭანტურია _____

ბესიკ დათუკიშვილი _____

ლევან ხაჟომია _____